№ 161
პარასკევი 30 ივლისი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 161
პარასკევი, 30 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართულის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

1—15 ენკენისთვემდე გამართავს **გამოსაცდელ წარმოდგენებს** იმათთვის, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზე მოღვაწეობა, ამისათვის საზ. გამგეობა სთხოვს მათ განაცხადონ თავისი სურვილი 1 ენკენისთვემდე. შემდეგ გამოცდისა გამგეობა მოწონებულთ მოიწვევს თავის დასში დამდეგის სეზონისათვის. (5—4)

ქართულმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ
რეპერტუარის განსაახლებლად დანიშნა პიესებისათვის

სამი პრემია: 120, 80 და 50 მანეთი

სოლო გადმოკეთებულ პიესებისათვის **50, 30 და 20 მან.**

ამისათვის მოიწვევს ქართველ მწერლებს წარმოადგინონ თავიანთი დრამატიული ნაწარმოებნი, რომლებიც განხილული იქნებიან გამგეობისა და მის მიერ მოწვეულის პირების თანადასწრებით და საუკეთესო პიესებს დაენიშნება ღირსების დაგვარად ზემოხსენებული პრემია.

პიესები უნდა გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე არა უგვიანეს 15 ენკენისთვემდე და ავტორებისაგან ხელმოუწერელნი უნდა იყვნენ, ხოლო სახელი და გვარი ცალკე დაბეჭდილს კონვერტში უნდა იყოს მოხსენებული და ეს კონვერტი პიესასთან ერთად წარმოდგენილი. (6—5)

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—20)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

ახალი ამბავი

⁂ ქალაქის მოურავის მოადგილემ დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის გუბერნიის მმართველს ქ. ტფილისის 1899 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

⁂ ტფილისის საგუბერნიო გამგეობას დაუმზადებია მოხსენება ადგილობრივ მოქალაქეთა გამგეობის კრებების ცვლილების შესახებ. ამ მოხსენებას ამ დღეებში განიხილავს საგუბერნიო გამგეობა. ცვლილება, როგორც ისმის, შეეხება უმთავრესად მოქალაქეთა წოდების დეპუტატების არჩევის მოსპობას და საზოგადო წოდებრივ კრებათა შემოღებას საზოგადო განაჩენთა დასადგენად.

⁂ 28 ივლისს მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი დ. ს. ს. სანდრიგაილო ტფილისიდგან კოჯორს წავიდა.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უთხოვნია მომავალ წელს საერო განათლების სამინისტრიას უწყების სასწავლებელთა შესანახად ტფილისის გუბერნიისათვის—4,500 მან. და ქუთაისის გუბერნიისათვის—4,700 მან., ხოლო ახალციხისა და ახალქალაქის სასოფლო სასწავლებელთა სახელოსნო კლასების შესანახად—3,000 მან.

⁂ ხვალ, 31 ივლისს, ტფილისში მოხდება ტფილისის გუბერნიის მაზრის უფროსთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს მაზრებს შორის საერო დარაჯთა განაწილების საქმე.

⁂ მომავალ სამოსწავლო წლის დამდეგიდგან ვერაზედ იქნება ოთხი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი: ერთი—ჭავჭავაძის ქუჩაზედ, მეორე საქალებო—ოლგასაზედ, მესამე—წყნეთისა და მეოთხე—ახალი აგურის ქუჩაზედ. საქალებო სასწავლებელს ახალ-წლიდგან მიემატება კიდევ ერთი კლასი, ხოლო ახალი სასწავლებელი ჯერ ერთ-კლასიანი იქნება შენობის სიმცირის გამო.

⁂ როგორც ისმის, რამდენიმე ხელოსანი და სტამბის მუშები აარსებენ ტფილისში ამხანაგობას, რომელსაც საგნად ექმნება ქართულ წიგნების გამოცემა.

⁂ ტფილისში აღმოუჩენიათ გრ. ორბელიანის პოემის „სადღეგრძელოს“ ერთის ადგილის ახალი ვარიანტი.

⁂ როგორც ვუწყით, ამ წლის შემოდგომაზედ კავკასიის საბრეშუმო სადგურს განზრახვა აქვს გამართოს სამოსწავლო-სამეცნიერო სამეურნეო გამოფენა. ამ გამოფენაზედ თავიანთ ნაწარმოებს წარადგენენ უმთავრესად საერო განათლების სამინისტროს სკოლები, რომელთაც სამეურნეო განყოფილება აქვთ. სკოლებთან ერთად გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ კავკ. საფილოქსერო კომიტეტის სანერგეები (საქარისა, ალაიანისა და სხ.) და ბამბის საცდელი და საჩვენებელი ყანები.

⁂ „ახ. მიმ.“-ს აუწყებენ ქუთაისიდგან: იმერეთის სასწავლებელთა საეპარქიო საბჭოს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას 5,100 მან. ორ-კლასიან სამრევლო სკოლის შესახანად სოფ. საჩხერეში.

⁂ იმავე გაზეთს ოზურგეთიდგან შემდეგს სამწუხარო ამბავსატყობინებენ. 24 ივლისს ღამით ს. ჯურუყვეთში რამდენიმე ბოროტ-გამზრახველი თავს დასხმია გასაძარცვავად ადგილობრივს მცხოვრებს მირიან გიგინეიშვილს. როგორც ამბობენ, გიგინეიშვილს ამ დღეებში ფული მიეღო თავისს მრავალ მოვალეთაგან; გაუგიათ რა ეს ბოროტ-გამზრახველთ, შაბათს, საღამოს 10 საათზედ, შემოსტყმიან მის სახლს და აუტეხნიათ თოფის სროლა. რამდენიმე ბოროტ-გამზრახველი-კი შესცვივნიან სა-

---

ფელეტონი

განქიქება და განმარცვლა

II

ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე.

„დავითნი“.

(შემდეგი *)

მიუხედავად ყველა ამისა, ამბობენ, საქართველოს უუძველეს დროის მწერლობა დამოკიდებული იყო სომხურ მწერლობაზეო, ქართულში გვხდება სომხური ფორმები საკუთარ სახელებისაო, მრავალი სომხური სიტყვებიო, სომხური მეტყველების საქცევებიო და სხ.

მეზობლად მცხოვრებნი ერნი ისე დაურები იქნებოდნენ, რომ ერთმანეთისაგან არა ესესხნათ რა, არა გადმოეღოთ-რა. თუ ქართველები სთარგმნიდნენ სომხურიდამაც საჭირო წიგნებს, ქებად ჩაეთვლებათ, ყველანი იტყვიან, ქართველები ფხიზელი და წიგნის მოყვარე ერი ყოფილაო.

გარნა გვაკვირვებს ჩვენ ერთი მხოლო: თუ ქართველებმა თავ-და-პირველად საღმრთო წიგნების თარგმნა იწყეს სომხურიდგან, მაშ როგორ მოხდა ისეთი განსხვავება საკუთარ სახელებისა, როგორიც ქართულშია და სომხურში!

აი მოკლე ნუსხა უმთავრეს სახელებისა:

ქართული	სომხური	ასურული
იესო (იჳსო) ქრისტე	ჰისუს ქრისტოს	იშუ მჰშიჰა
იოვანე	ჲოჰანნეს (ჰოვჰან)	ëჰხან
იოსებ	ჲოსეფ	იოსიფ
მოსე (ურიულ. მოშე)	მოვსეს	მუშელ
სეით	სეთ	შეთ
ჯვარი	ხაჩ [1])	სლыვა
ჰეროდე	ჰეროდეს	
ბართლომე (ბართულომე)	ბართულიმეოს	ბურთულმეჲ
ნათლისცემა	მыკыრტუთюნ [2])	
ნათლის მცემელი	მыკыრტეჩ [3])	მამდანა [4])
პეტრე	პეტროს (პეტრე)	ფათრუს
გიორგი (გიო, გივი)	გეორგ	გივარგის
ელისე		ჰელიშე

ეს სახელები, რომლის სრულ სიას „ვერ დაიტევდა ვერცა სოფელი ესე“, რას გვიმტკიცებს, თუ არა იმას, რომ თავდაპირველად ქართული თარგმანები გაჩენილან არა სომხურიდამ!

იგივე სია რას გვიჩვენებს, თუ არა იმას, რომ ნინოს დრომდე საკუთარი სახელების ფორმები უკვე დამკვიდრებული ყოფილა ისე მტკიცედ, რომ შემდეგში ბერძნულს ნაკადულსა, ასურულსა და, თუ გნებავთ, სომხურსაც ველარ შეუცვლია. ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო: ამიტომაც პეტრე პეტროსად არ ქცეულა, არც პავლე პავლოსად. მართალია, სახელი იოსებ ზოგიერთ ხელნაწერში (მე X საუკ.) იოსეფად მოუნათლავთ, გარნა ასეთი ფორმა ამ სახელისა იმავე ხელნაწერებს არ გაჰშორებია, რადგან იმავე დროის სხვა ძეგლებში ისევ იოსები იხსენიება.

მიაქციეთ ყურადღება აგრეთვე სიტყვას ნათლისღება. ჩვენში რომ ქრისტიანობის უდიდეს სიმბოლოს,—საიდუმლოს ნათლიღებისას—ჰქვიან ნათლის მიღება, ბერძნულად ჰქვიან წყალში ჩაყურჰუმალავება („ბაპტიზიონ“), სომხურად „ღკვცა“ და ასურულად „ჩაყურჰუმელავება“.

საგონებელია, რომ ეს ცნობა—ნათლისღება—ბერძენთა სამღვდელოების მოსვლამდე უკვე განმტკიცებულ იყო ერის მეხსიერებაში,—თანახმად წმიდა ნინოს ქადაგებისა.

„ნათელი არს ღმერთი, ნათელი პირველი და დიდის სასყიდლისაჲ, ნათელი არს დასაბამი დაუსაბამოჲ, უხილავი და გარეშეუწერელი, ნათელი არს მარადის ბრწყინვალე, ნათეთი არს უზესთაესი, ნათელი და ყოვლადვე ელვარე და გამობრწყინვებულობს სამარადისოჲსა ნათლისაგან...

„ესაია თქუა: რამეთუ „ნათელ არიან ბრძანებანი შენნი ქუეყანასა ზედა“.

„იგივე სხუასა ადგილსა იტყვს: „ნათელიღე, ნათელიღე, იერუსალიმ, რამეთუ მოწევნულ არს ნათელი შენი“-

„და იგივე სხუასა ადგილსა იტყვის: „ერი, რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი“. და მერმე: „მოვედით და მივიდეთ ნათელსა უფლისასა“.

„და კვალად იტყვს: „იყავ ნათელი უფლისა ღუთისა ჩუენისაჲ ჩვენ ზედა“.

„და სხუასა სადამე იტყვს: „მიგცე შენ ნათლად წარმართთა ახილვად თუალთა ბრმათასა“.

„ზაქარია წინასწარმეტყველი ღაღადებს: „ვხედევდ კაცსა და მზის აღმოსავალ იყო სახელი მისი“.

„ღუთისა მამაჲ დავით ილოცავს: „ნათლითა პირისა შენისაჲთა ვიხილეთ ჩუენ ნათელი“. და მერე: „ნათელი გამობრწყინდა მართალთა ზედა და გულითა წრფელთა სიხარულ“.

„ფსალმუნი იტყვს: „უფალი ნათელი ჩვენდა და მაცხოვარ ჩუენდა“. და მერე: „უფალო, ნათლითა პირისა შენისაჲთა ვიდოდიან“.

„დიდად ბრძენი სოლომონ იტყვის: „ნათელი მართლთაჲ მარადის... ნათელ არს და დაუქნობელ სიბრძნე.“ მასვე დანიელ იტყვის: „ვიხილე მამაკაცი და ნათელი შორის მისსა“.

„უწინარეს მრავალთასა დიდმან მოსე გვაუწყა, ვითარმედ: „თქვა ღმერთმან: იყავნ ნათელი და იყო ნათელი“. და ზედა წარმოიღებს და იტყვის: „იხილა ღმერთმან ნათელი იგი, რამეთუ კეთილ არს“; და წინაჲთვე აუწყებს შორით: „ხედვიდეთ ცხოვრებასა თქვენსა ძელსა ზედა დამოკიდებულსა წინაშე თვალთა თქვენთა და არა გრწმენეს ცხოვრებისა თქუენისაჲ“.

ამას ნათელსა დაუსაბამოსა გამოაცხადებს იოვანე ღვთის მეტყველი ახალსა აღთქმასა შინა:

„იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა მოჰავალსა სოფლად,“ ‹ ვითარმედ: „ღმერთი ნათელ არს და არა არს ბნელი მისთანა არცა ერთი“: და კვალად: „მე ნათელი მოვივლინე სოფლად“. დი მერმე: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ და რომელი მოვიდეს ჩემდა, დაიმკვიდროს ნათელი“. და ფსალმუნსა შინა იტყვის: „მარჯვენემან შენმან და მკლავმან შენმან და ნათელმან პირისა შენისამან“,:... „ვიდრე ვარ სოფელსა ამას, ნათელი ვარ სოფლისაჲ;“ „ვიდოდეთ ნათელსა, ვიდრეღა ნათელი თქუენთანა სრს“.

---

*) იხ. „ივერია“ № 157.

[1]) საკვირველია, რომ თათრულად ხაჩ ნიშნავს სხვა-და-სხვა ცნებას: ქდეს, ნიშას, ჯვარს.

[2]) აღკვეცა,

[3]) აღმკვეცელი.

[4]) იმასვე ნიშნავს, რასაც სომხური „მыკыრტუთюნ“ და „მыკыრტეჩ“.

ხლში და მოუთხოვნიათ ფული. გიგინეიშვილს უარი უთქვამს და ბოროტ-გამზრახველნი მისცვივნიან, დაუჭრიათ გიგინეიშვილი და მისი ქალი. ქალი მამის დაცვის დროს სამგან დაჭრილა თავში. პოლიციის გამოძიებას გამოურკვევია, რომ ბოროტ-გამზრახველთ 550 მან. ნაღდი ფული და 16,000 მანეთის თამასუქები წაუღიათ. ადგილობრივს მაზრის მმართველის წერეთლის მხნეობის მეოხებით, შეუპყრიათ ყველა ბოროტ-მოქმედნი—7 კაცი. სამი მათგანი უცვნიათ თვით დაშავებულ გიგინეიშვილთ. ერთი მათგანი აღმოჩენილა დარაჯად ნამყოფი ანდრია მურვანიძე, რომელსაც ჰბრალდებოდა თავდასხმა ინჟ. ბუნგეზედ სუფსის სადგურთან.

⁂ როგორც „კავკ."-ს ატყობინებენ, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა ადგილ-მამულების მოსაწყობ სამუშაოთა უფროს მწარმოებლის, გარდაცვალებულის პარვიცკის ადგილზედ დანიშნულია ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს საგანგებო მინდობილებათა მოხელე მ. ვ. მაჩაბელი.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა ახალი რუსული დრამატიული დასი, რომელიც მომავალ კვირიდგან წარმოდგენების გამართვას დაიწყებს სახაზინო თეატრში. დასში მონაწილეობას იღებს სამი ცნობილი არტისტი: ბ-ნნი დავიდოვი, ობოლონსკი და ქ-ნი სტრავინსკისა.

⁂ როგორც ისმის, საოპერო წარმოდგენები ტფილისის სახაზინო თეატრში დაიწყება 20 აგვისტოდგან.

⁂ „ნორ-დარს" ალექსანდრეპოლიდგან აუწყებენ, რომ ამ დღეებში იქ მისული პროფესორი მარრი წასულა ანს სამეცნიერო კვლევა-ძიების მოსახდენად. ანიდგან პროფესორს განზრახვა ჰქონია გაემგზავროს იმავე აზრით სომხეთის ძველს დედა ქალაქებს—დვინსა და ართაშანს.

⁂ უწერა, (რაჭა). უწერის მჟავე წყალზე დიდძალი ხალხი მოვიდა წელს, უმეტესად სამეგრელოდგან და აფხაზეთიდგან, ამას გარდა ქვემო იმერეთიდგან და უფრო მცირედ ზემო იმერეთიდგან და რაჭიდგან. ეს უკანასკნელნი სულ სამი-ოთხი დღე ძლივს რჩებიან; პირველები-კი სამი ოთხი კვირა და მეტიც. მჟავე წყლის სმა ღირს დღეში ექვსი კაპეიკი; ერთი ოთახი 10—15 მანეთია თვეში, დღიურათ-კი თითო მანეთი. სასმელ-საჭმელი ძვირი არ არის და კიდეც იშოვება; ღვინოს მოაგარაკენი არ ეწყობიან. ამ ჩვეულებას შინაც რომ გაიყოლებდნენ, კარგი იქნება. საზოგადოდ აქ მოწყენილობაა. თავის შესაქცევად მარტო ბილიარდია, მაგრამ იმის პატრონს მასთან თითო ოროლა ჩვენებური ჟურნალ-გაზეთი მაინც რომ გამოეწერა და თუნდ ფასის გადახდევინებით ეკითხვინებინა,—დიდი მადლობის ღირსი იქნებოდა. ონიდგან აქ ჩამოსულმა რამდენმამე ოჯახმა ურიებისამ აქაურობა გაალვიძა ჩვენებური ცეკვა-თამაშით დაირა მუზიკაზე. აქეთ გოლვისაგან მეტათ შეწუხებულია სიმინდი და ვენახები.

⁂ პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, ჩააგონეთ პოლიციელთ, რომ მათ არამც და არამც არ გაჰბედონ ვისიმე ცემა და თან გააფრთხილეთ, რომ თუ მაინც კიდევ ჩაიდინეს ასეთი საზიზღარი საქციელი, ყოველ გასამართლებელ საბუთის მიუხედავად, დათხოვნილ იქმნებიან თანამდებობიდგან და სრულიად სამსახურიდგან.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. წინანდალი, (კახეთი). წინანდალი ისეთი სოფელია, რომელიც უნდა იცოდეს ყველა გაზეთის მკითხველმა და არა მკითხველმა: აქ მოხდა პირველად ის ცვლილება, რაც არც ერთს ქართულს სოფელს არ განუცდია და რაც არის შედეგი მეურნეობაში კაპიტალიზმის შემოტანისა. ამ სოფელში არის მთავარი სამმართველო კახეთის საუფლისწულო მამულებისა. წინანდალი პირველი სოფელია მთელ საქართველოში, სადაც მშრომელ ხალხს სრულებით თუ არა, ნახევრად მაინც არ მიეტოვებინოს ხვნა-თესვა, საკუთარი ვენახების შემუშავება და დღიურ მუშად არ გადაქცეულიყოს. წინანდლის ფულებმა ჩაითრია არა მარტო სოფელი წინანდალი, არამედ მის გარეშემო მდებარე სოფლებიც, თუმცა იმდენად-კი ვერა. წინად, როდესაც დღიური ფასი დიდი იყო (დღეში 90 კ.—1 მ.) სხვა სოფლებმაც წინანდალს მიჰბაძეს, მაგრამ როდესაც ეს ქირა დაეცა (40 კ.—45 კაპ. დღეში თავისი პურით), მაშინ-კი გლეხები ისევ თავისს მამულებს მოუბრუნდნენ და მხოლოდ თავისუფალ დროს ახმარებდნენ საუფლისწულო მამულებში მუშაობას.

ახლო-მახლო სოფლებიდგან საუფლისწულო ზვრებში სამუშაოდ დადიან არა მარტო კაცები, არამედ დედაკაცებიც და გოგო-ბიჭებიც. დედაკაცებს დღეში ეძლევათ 25—30 კაპ., ხოლო ყმაწვილებს 15 კაპ. ქალები უფროს შემთხვევაში ახვევენ ვენახებს, ყმაწვილები ჰკრეჭავენ და ბალახსა სწიწკნიან. სამუშაოდ დადიან არა მარტო ღარიბები, არამედ შეძლებული ოჯახიშვილის ქალები და ცოლები, რომლის წყალობითაც პირველები მზითევს იკეთებენ, ხოლო მეორენი კოპწიად ჩაცმულ-დახურულები გამოდიან კვირა-უქმე დღეს. აი ამის შესახებ სთქვა ერთმა დარბაისელმა კნეინამ: ჩვენ რაღა ვართ, ჩაცმულ-დახურულებიც ეგენი არიან და პირველი მოდის მომტანიცო. ფულმა გაიყვანა სამუშაოდ არა მარტო 15—16 წლის გასათხოვარი გოგოები, არამედ 6—7 წლის უსუსური ბალღებიც: მე ვიცი ერთი ქვრივ-ოხერი დედაკაცი, რომელსაც თავისი 6 წლის ყმაწვილი მხარზედ შესმული მიჰყავს დილით სამუშაოდ, და საღამოთი ისევ იმ რიგად მოჰყავს სახლში.

ფულის სუნი ყველაზედ უწინ, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა მოვაჭრეებს ეცათ და ბლომადაც მოაწყდნენ წინანდალს: ქართველობა თუ ზვრებში ოფლის წურით იღებს დღეში 45 კაპ., სომხი მოვაჭრეები გრილოში სხედან თავიანთ დუქნებში და ერთი ასად მეტსა ჰხვეტავენ, რადგანაც კახეთში ეხლაცა სჯერათ ჩვენი მტერ-მოყვარეებისაგან შეთხზული—სომხის დუქანი და ქართველის გუთანიო.

წინანდალში დუქნებმა თუმცა ბრინჯივით იმატა, მაგრამ სწავლა-განათლების შესახებ არაფერი ხმა-ხუმი არ არის. თუმცა საუფლისწულო მამულში იქ მოსამსახურეთა შვილებისათვის არის სკოლა, მაგრამ სოფელს რაი?., სოფლის მღვდელს და ბლაღოჩინს თუმცა გაუმართავს სამრევლო სკოლა, მაგრამ მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია: სკოლა მოუთავსებიათ ძველ ეკკლესიაში, რომელშიაც ძლივს შედის მზის სინათლე და თანაც ეტყობა მოსწავლენი ცოტანი უნდა იყვნენ, რადგანაც ორიოდე სტოლი მდგას ლავგილაკებს.

თუ სამინისტრო სკოლა ვერა ხერხდება, იმედია, აქაური მღვდელი, რომლის ენერგია და მეცადინეობა სამაგალითოდ გამხდარა, ეცდება მალე დაარსოს ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა მაინც, სადაც წერა კითხვის მსურველ მუშებს კვირა დღეობით ასწავლის და ამასთანავე სასარგებლო წიგნებსაც წაუკითხავს.

სოფლის ერთი დიდი ნაკლულევანება კიდევ ის არის, რომ არა აქვს სასმელი წყალი და ამის გამო იძულებულია ძალიან შორიდგან ეზიდოს.

წინანდლელები და ახლო-მახლო სოფლელები დიდათ ემადლიერებიან საუფლისწულო მამულების გამგეობას, რომელსაც დაუარსებია წინანდალში აფთიაქი, საიდგანაც მუშების გარდა ყველა მსურველს აძლევენ წამალს. აფთიაქში არის ერთი ფერშალი, მაგრამ თუ მუშებისათვის საჭიროა—ექიმსაც იბარებენ თელავიდგან. აფთიაქში არის აგრეთვე ავადმყოფთათვის დასაწოლი ოთახი.

ი. გ—რი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთი „Южн. Обоз." ერთს მეტად უცნაურ ამბავს მოგვითხრობს. ოდესაში სცხოვრობს ვინმე კამბიე, დირექტორი ოდესის ცხენის რკინის გზისა. ამ დირექტორს ყველა თავისის ხელ-ქვეითისათვის, ცხენის რკინის გზაზედ მოსამსახურისათვის, სასტიკად აუკრძალავს ოდესსურ გაზეთების კითხვა. აი სიტყვა სიტყვით თვით ის ბრძანება, რომელიც ბ-ნ დირექტორს გაუცია:

„სასტიკად ეკრძალებათ კონტროლიორებს, კონდუქტორებს და მატარებლების უფროსებს ოდესსურ გაზეთების კითხვა. იმას, ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, ჯარიმა გარდახდება"-ო.

მიზეზი ამ ბრძანების გაცემისა ისა ყოფილა, რომ ოდესსური გაზეთები ეს რამდენიმე წელიწადია სასტიკადა ჰკიცხავენ თურმე ბ-ნს კამბიეს იმ უწესოებისათვის, რომელიც არა ერთხელა და ორჯელა ხდება თურმე ოდესის ცხენის რკინის გზაზე. მაშასადამე, კამბიეს გაზეთების ჯავრის ამოყრა სდომებია და ეს ჯავრი თავისს ხელ-ქვეითებზედ-კი ამოუყრია. აი სწორედ ამაზედ იტყვიან ხოლმე ჩვენში: „ცხენს რომ ვერაფერი დააკლო, უნაგირს დაუწყო მტვრევა"-ო. დაბალი ლობე, რასაკვირველია, ადვილი გადასალახავია, და ბ-ნ კამბიესაც დაბალ ლობედ თავისი ხელქვეითნი უცვნია.

ამ ამბის გამო მეორე რუსულ გაზეთ **„Сынъ Отечества"**-ში მეტად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი. წერილის ავტორი უმთავრესად ეხება იმ ნებაყოფლობით ხელშეკრულებას, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია მუშებსა და მათ დამქირავებლების

ამის შემდეგ ნინო მოუთხრობს სამწყსოს, თუ ამ „ნათელმა" როგორ იღო ნათელი ხსნად სოფლისა და ბნელთა შინა მსხდომარეთა. დიდი იოანე ეუბნებოდა ქრისტეს: „ჩემდა ჯერ არს შენ მიერ ნათლისღებაჲ, რომელი ეგე წყაროჲ ხარ ნათლისაჲ," „ჩემდა ჯერ არს შენგან ნათლისღებაჲ, ვითარცა რაჲ მცირისა სინათლისა დიდისაგან ალებრ სახუმილისა"...

გარნა ქრისტემ „აღასრულა დიდი იგი საიდუმლოჲ წმიდისა მის ნათლისღებისა იორდანესა".

შემდეგ გამოიცადა ეშმაკასაგან და მერე შეკრიბა მოციქულები, რომელთა უწოდა „სანთლები" და „ნათელი სოფლისა".

ამგვარ ქადაგების მეოხებით უნდა განასკულიყო ცნო „ნათლისღება". თუ ეს ასე არ ყოფილიყო, ვეჭობთ, საქართველოში შემოსულ ბერძნის სამღვდელოებას შეეწყნარა „ნათლისღება" და მის მაგიერ „ბაპტიზინ"-ის თარგმანი „ყურჭუმელავობა" *) არ შემოელო.

ჩვენ შევისწავლეთ რაოდენიმე „დავითნი" მე-X—XI საუკუნოებისა. და ეს ჩვენი შესწავლილი უფრო ცხად ჰყოფს იერუსალიმის დიდს გავლენას ქართულ მწერლობის აღორძინების საქმეზე. ⁵)

საეკკლ. მუზ. 1035 წელს გადაწერილ წიგნში სწერია:

(გვ. 428): „დასრულდა დავითისა ფსალმუნთა თარგმანი ბასილი კესარიელისა ბრძანებული და ბერძენთა ენისაგან ეფთჳმეს მთაწმიდელისა მიერ თარგმანებული".

ამის შემდეგ გადამწერს შეუტანია კიდევ ფსალმუნთა თარგმანი, რომლის ავქსონის შესახებ ამბობს:

(იქვე): „ესე აქედგან წარმართ „დავითთა" შიგან ვპოე თჳთო მუჴლასა ზედა თარგმანი, ხოლო სახელი არა ეწერა, თუ ვისი თარგმანი არს:"

და ეს უცნობი ავქსონი-კი გადმოგვცემს:

(გვ. 433):.. „ვიიან ჰქვიან და მის გამო მრავალთა თარგმანთა—სომეხთა და ქართველთაცა—რომელთამე ღირსად უთქუამს და რომელთამე იგი სიტყუჲ რეცა სატოხე უჩნდა და ზე სიტყუაჲ იკმიეს და ჭამად გამოთარგმანეს სომეხთაცა შორის და ქართველთაცა შორის.

„ხოლო ჩუენ ღუთისა მოწყალებითა ისჳქის ნეტარისა, რომელი ხუცეს ყოფილიყო წმიდისა იერუსალიმისა ეკკლესიისა, რომელმან „დავითი" გამოთარგმნა უთხად (?) წიგნად სავსედ, მისსა თარგმნილსა წიგნსა შინა ესრე სახედ ვპოეთ, ვითარცა ესე დავწერეთ კრძალულად".

ჯერ ჯერობით არა სჩანს, ვინ იყო ეს ისვქი ნეტარი, რომელმან ოთხწიგნად დავითნის თარგმანი გადმოიღო და ან როდის სცხოვრობდა. არც ისა სჩანს, ვინ არის ის უცნობი ავქსონი, რომელმაც ისვქის თარგმანს შეუმოწმა თვისი თარგმანი. იგიც ფრიად ძველი დროის მწერალი უნდა იყოს. თუ ახალი დროისა ყოფილიყო, მისი ვინაობა ვერ გამოეპარებოდა დიდებულს ჯიბისძეს, გადამწერს ზემორე ხსენებულის 1035 წლის დავითნისა.

გიორგი მთაწმინდელზე დიდი მოწამე ვინ გვინდა! იგი თვის „ანდერძში" ცხადად აღნიშნავს საბაწმინდელ მამების შრომას, მათს „საბაწმინდურებს", დავითნს, სახარებას და სხ.

რომ გავიგოთ, სად იწერებოდნენ „საბაწმიდურნი" და საიდგან მოდიოდა ნაკადული პირველითგან კეთილად და წმიდად თარგმნილნი" წიგნნი, რომლებშიაც „ხან მეტნიცა" იყო, საჭიროა უკანვე დავიწიოთ და განვიხილოთ მცხეთის კავშირი იერუსალიმთან.

როგორც უკვე ვთქვით, წმ. ნინოს ბიძა და დედ-მამა იერუსალიმში მოღვაწეობდნენ. იქიდგანვე საქართველოსკენ გამოეგზავრა თვით ამ ქვეყნის განმანათლებელი, მოციქულთა სწორი ნინო. ქრისტეს დაბადების შემდეგ მთელი მსოფლიოს თვალი იერუსალიმისაკენ იჭვრიტებოდა. აღმოსავლეთიდგან იქ მიემგზავრებოდნენ მოგვები. ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი იქ იყრიდა თავს. წმიდა ადგილის ნახვა ენატრებოდა ყველას. მისი სახელი მოეფინა ქვეყანას ქრისტეს მოწაფეების მეოხებით. მირიანი რომ მოინათლა, იერუსალიმშიაც ჩაიყარა საფუძველი ქართველთა ჯვრის მონასტრისა. თუმცა სარწმუნო არ არის, გარნა გადმოგვცემენ, რომ თვით მირიანმა დააფუძნა ეს მონასტერიო. მართალია მხოლოდ, რომ მირიანის ძე ბაკური თვით იყო იერუსალიმს. იგი იმპერატორის თეოდოსისაგან განწესებულ იყო უფროს დომესტიკოსად და გამგებლად პალესტინისა და გარდაიცვალაო 394 წელს. *)

მეხუთე საუკუნეში აქ მოღვაწეობდა მურვანოსი (პეტრე), ძე ქართველთა მეფისა და შემდეგ ეპისკოპოსი მაჲუმისა, კაცი ფრიად განათლებული, მცოდნე ბერძნულისა და ასირიულ ენისა და ფილოსოფიისა იგი ბერად აღიკვეცა უფლის საფლავზე და აღაშენა მონასტერი ყ ღ წმ. ღუთისმშობლისა, წოდებული „ივერთა" მონასტრად, ააშენა აგრეთვე თავსაფარი საქართველოდგან მიმავალ მლოცველთათვის. **)

ქართლისცხოვრება გადმოგვცემს ვახტანგ გორგასლისა და მისი სახლობის გამგზავრებას იერუსალიმის მოსალოცავად, და იერუსალიმისავე პატრიარქი დოსითეოზი მოწმობს, რომ გოლგოთას არის ქართული წიგნი, რომელშიაც მოთხრობილია ვახტანგის მოგზაურობა იერუსალიმსაო.

მეექვსე საუკუნეში იუსტინიანემ განაახლა 20 მონასტერი, რომელთა შორის ერთი ქართველებისა იყო. ამავე საუკუნეში იყო აგრეთვე მონასტერი ლაზთა (ქართველთა).

---

*) რომ ეს ასრე იქნებოდა, ამას ნათელს ჰფენს ანტიოქიის დოროთეოს პატრიარქის სიგელი, მიცემული „დიდისა მეფისა (!) და ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფისა პატრონისა მზეჭაბუკისათვის" (საეკ. მუზ. სიგელი № 193). ამ მზეჭაბუკმან მხოლოდ, ამბობს დოროთეოსი, „იყურჭუმა ჭეშმარიტად ემბაზსა შიგა ნათლისღებისასა". მზეჭაბუკი განუდგა დედაქალაქს მცხეთას და მოუწოდა ანტიოქიის პატრიარქს, ამიტომაც „ნათლისღება" „იყურჭუმად" შეიცვალა.

⁵) № 138.

*) იხ. ჩვენი Истор. Груз. перкви-ს დამატება.

**) იხ. მის შესახებ ა. ც. Памятники груз. старины въ св. Землѣ и на Синаѣ, გვ. 34—36 (Палест. сбор., 10-й вып.) და ნ. მარრის შვენიერი გამოკვლევა „ცხოვრება პეტრე ივერისა" (Палест. сбор. 47-й вып.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთი-ერთ დამოკიდებულების, დაქირავების დროს.

„ყოველგვარ კანონმდებლობის განსაკუთრებული თვისება,—ამბობს წერილის ავტორი,—ის არის, რომ იგი (კანონმდებლობა) ცხოვრებას ხელი-ხელ გადაბმული კი არ მისდევს, არამედ მუდამ და ყოველთვის უკან მისჩანჩალებს. ამ გვარ ჩამორჩენას კანონისას ყველგან და ყოველ საქმეში შევხვდებით, მაგრამ იგი ისე თვალსაჩინო და ნათელი არსად არ არის, როგორც ნებაყოფლობით ხელშეკრულების საქმეში. განათლებულ ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრება ისეთის სისწრაფით მიდის წინ, რომ კანონმდებლობა ამ ცხოვრების მცირე ნაწილის განწესრიგებასაც კი ვერ ასწრობს, დანარჩენ ნაწილებს კი ისევ ესრედ წოდებულ ნებაყოფლობით ხელშეკრულების ანაბარა სტოვებს. ჩვენში, მაგალითად, კანონმდებლობითი განწესრიგება შეეხო უმთავრესად საქარხნო და რაოდენიმე სასოფლო-სამეურნეო შრომას, შრომის დანარჩენ დარგებში-კი იგივე ნებაყოფლობითი ხელშეკრულობაა მიღებული. ხოლო რაოდენად ნებაყოფლობითია ასეთი ხელშეკრულება, ეს ყველამ კარგად ვიცით. საკმაოა ვსთქვათ, რომ ეს ნებაყოფლობა მუშის გაჭირვებით განისაზღვრება: რამდენადაც უფრო გაჭირვებულია იგი, იმდენად უფრო ფართო მოედანი ეძლევა დამქირავებლის მოთხოვნილებათ.

შემდეგ, ნათქვამის დასასაბუთებლად, მოჰყავს რა ზემო ხსენებული ფაქტი გაზეთების კითხვის აკრძალვის შესახებ, ავტორი განაგრძობს.

„ეს ფაქტი საინტერესოა არა მარტო იმით, რომ იგი მაგალითია არა ჩვეულებრივის თავ-გასულობისა, არამედ იმითიც, რომ ნათლად გვიჩვენებს, რა უფლების მქონენი არიან მოსამსახურე კაცნი. აქვს თუ არა ნება ბ-ნ კამპაის გამოსცეს ასეთი ბრძანება? აქვს, რადგანაც ბრძანება ისეთს არაფერს შეიცავს, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ხელშეკრულების ნებაყოფლობას: გსურს სამსახური—გაზეთებს ნუ წაიკითხავ, არა გსურს—სამსახურიდგან გადი, ან ჯარიმა გადაიხადე. როგორცა ჰხედავთ, სრული ნებაყოფლობაა აქ. ეს კიდევ არაფერი, ბ-ნ კამპაის შეუძლიან მარტო გაზეთების კითხვა-კი არა, სხვაც ბევრი რამ აღკრძალოს. ფაქტიურად შეუძლიან, მაგალითად, კალდებული გახადოს მოსამსახურენი სახსნილო საჭმელს არ მიეკარნენ, ცოლები არ შეირთონ და სხვა".

დასასრულ ავტორს ორი მაგალითი კიდევ მოჰყავს იმისა, თუ ნებაყოფლობითი ხელშეკრულების ძალით დამქირავებელს რა შეუძლიან მოსთხოვოს, რა შეუძლიან გააკეთებინოს დაქირავებულს და ამბობს, რომ ასეთი შედეგი მოსდევს ნებაყოფლობით ხელ-შეკრულებას ყოველ-გვარ შრომის საქმეშიო. ამიტომ საჭიროა, კანონმდებლობა ამ საქმეშიაც ჩაერიოს და ეს დარგი შრომისაც ისევე განაწესრიგოს, როგორც ზოგიერთი სხვაო.

◆◆

რუსეთი

უწმ. სინოდის მსწავლულთა კომიტეტი აცხადებს, რომ თუმცა სამართლ-მადიდებლო უწყების მთავარსამმართველომ განიხილა ზოგიერთი ზომები სასულიერო აკადემიებსა, სემინარიებსა და სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად, მაგრამ განზრახვა აქვს შემოიღოს ასეთი ზომები მომავალ სამოსწავლო წლის დამდეგიდგან, ხოლო ის ხმები, რომლებსაც ჟურნალ-გაზეთები ავრცელებენ ამ სასწავლებლების ცვლილებათა შესახებ, საზოგადოდ უდროულია და ამ ჟამად-კი პირდაპირ სიმართლეს მოკლებულიც.

— მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მმართველი უცხადებს მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და სატეხნიკო სასწავლებლის სტუდენტებს, რომელნიც დათხოვნილ იქმნენ უწესოების გამო, რომ მათ თხოვნები უკანვე მიღების შესახებ უნდა წარადგინონ სასწავლებელში დაწესებულ ვადებზედ: უნივერსიტეტში არა უგვიანეს 10 აგვისტოსა და სატეხნიკო სასწავლებელში—არა უგვიანეს 13 აგვისტოსა. თხოვნები უნდა გაგზავნილ იქმნას ფოსტით და შიგ უნდა აღნიშნულ იქმნას მთხოვნელთა ადრესები, რომლითაც ისინი პასუხს მიიღებენ.

— საერო განათლების სამინისტრო, „როს."-ის სიტყვით, გადასინჯავს საშუალო საქალებო სასწავლებელთა წესდებას.

— სხვა-და-სხვა ეპარქიებში განკარგულება მოხდა, რომ სამრევლოების მღვდლებმა ყოველ ნახევარ წლის გასულს წარუდგინონ მათს სამრევლოებში დაბადებულთა სია, რათა განსაკუთრებულმა კომიტეტებმა შესაფერი განკარგულება მოახდინონ ყვავილის ასაცრელად.

— საერო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქთა მზრუნველებს, ხელი შეუწყვეთ ხელსაქმის შემოღებას იმ სასწავლებლებში, სადაც ბავშვებს პრაქტიკულ მოქმედებისათვის ამზადებენო. უმთავრესად საყურადღებოა ამ მხრით არის სამინისტრო-საქალაქო და ორ-კლასიანი სასოფლო სასწავლებლები.

— პეტერბურგში ამ ჟამად, ადგილობრივ პედაგოგთა თაოსნობით, შეუდგნენ განსაკუთრებულ საზოგადოების დაარსებას მოსწავლეთა ექსკურსიების (მგზავრობის) გასამართავად რუსეთში. საზოგადოებას საგნად ექმნება დაწვრილებით გააცნოს მოზარდ თაობას სამშობლო ქვეყანა.

— წელს პეტერბურგის სატეხნოლოგიო ინსტიტუტში, გაზეთების სიტყვით, ებრაელებს არ მიიღებენ.

— ქ. ეკატერინბურგში სამხატვრო-სამრეწველო სკოლის დაარსება უკვე გარდაუწყვეტიათ.

◆◆

უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე პეტერბურგში იმყოფება ამ ჟამად. ამ ამბავს დიდ ყურადღებას აქცევენ ყველა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთები. პირველად ხმა გავრცელდა, რომ დარბაზობის გადასახდელად მიდისო დელკასე პეტერბურგში რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრ მურავიოვთან, რომელიც წარსულ შემოდგომაზე იყო პარიჟში; მაგრამ ეხლა ბევრნი იმ აზრის არიან, რომ ამ მოგზაურობას, დარბაზობის გარდახდის გარდა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვსო. გაზეთი „Siécle" ამბობს, რომ დელკასეს დარბაზობა გრაფ მურავიოვთან უფრო დიდი მოსაზრებით არის გამოწვეული, ვიდრე უბრალო ზრდილობიანობითო. ეხლანდელ მდგომარეობაში, გაზეთის აზრით, ამ დარბაზობას უთუოდ დიდი პოლიტიკური მოსაზრება უდევს სარჩულად. როგორც ხსენებული გაზეთი ამბობს, რესპუბლიკის მტრები ხმას ავრცელებენ, რომ ვალდეკ-რუსოს მიერ სამინისტროს შედგენის შემდეგ, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ერთმანეთთან დამოკიდებულებას წინანდელი მეგობრული ელფერი რამდენიმედ დაეკარგაო. ეს ტყუილი ხმები არისო,—ამბობს „Siécle"; პირ იქით, ამ დამოკიდებულებას ეხლანდელზედ უფრო მეგობრული ხასიათი არაოდეს არ ჰქონია, რაიცა არა ერთხელ დამტკიცდა სხვა-და-სხვა საქმეში, მაგრამ უფრო-კი გააგის კონფერენციაზეო.

— დრეიფუსის საქმის შესახებ დაბარებულ მოწმეთა ვინაობაა დაბეჭდილი გაზეთებში. იმათ შორის ირიცხებიან კაპიტანი ლებრენ რენო, იუსტიციის მინისტრად ნამყოფი ტრარიე, სენატორი შერერ-კესტნერი, რომელმაც, როგორც ვიცით, სხვებზედ ადრე აღამაღლა ხმა დრეიფუსის საქმის ხელახლა გარჩევის სასარგებლოდ, მაიორი ჰარტმანი, რომელმაც განაცხადა, რომ შეუძლებელია, ბორდერო დრეიფუსის დაწერილი იყოსო, კაპიტანი ფრეისტეტერი (წევრი სამხედრო სასამართლოსი 1894 წ.), სტუსადოს უფროსად ნამყოფი ფორცინეტი, და აგრეთვე რამდენიმე აკადემიკოსი და მწერალი. პირველად უნდა ჩამოერთვათ ჩვენება: კაზიმირ პერიეს, გენერალ მერსიეს, ბილიოს, კავენიაკს, ცურლინდენს, შანუანს, ანრის ქვრივს, ბერტულიუსს, გენერალ როჟეს და პიკარს.

სერბია. დარწმუნებულნი არიან, რომ სასამართლო დამნაშავედ იცნობს და უმაღლეს სასჯელს გადაუწყვეტს მილანის უმთავრეს მოწინააღმდეგეთ—პაშიჩს, ტაუშანოვიჩს, პოლკოვნიკს ნიკოლიჩს და მღვდელს მილან ჯურიჩს. მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ ამ გარემოებამ ამბოხება არ გამოიწვიოს ხალხში, ალექსანდრე მეფე უთუოდ მიუტევებს მათ სასჯელსო. სერბიის მთავრობა მართლაც რომ ძლიერ ყოფილა შეფიქრიანებული—არეულობა არ მოხდესო. ეს, სხვათა შორის, იქიდგანაც მტკიცდება, რომ ჟანდარმთა რიცხვი შესამჩნევად გაუმრავლებია.

კიპრი. კიპრი კარგად მოზრდილი კუნძულია, რომელიც, რუს-ოსმალოს ომის შემდეგ 1878 წელს, ინგლისმა ჩამოართვა ოსმალეთს და თითონ მიისაკუთრა. ინგლისმა ბევრი კარგი ცვლილება შემოიღო კიპრზე, დიდად გააუმჯობესა ხალხის კეთილ-დღეობა, მაგრამ იმათი გული მაინც ვერ მოიგო: კიპრელებს თვალი საბერძნეთისაკენ უჭირავთ და შემთხვევას ელოდებიან, რომ მას შეუერთდნენ. ბერძნული ჟურნალი „პატრისი", რომელიც ბუხარესტში გამოდის, იუწყება, რომ ინგლისის პოლიტიკურმა წრეებმა ღონისძიება გამოსძებნეს კიპრელების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ისე-კი, რომ საბერძნეთს არ ჩაუვარდეს ხელში ეს კუნძულიო. ეს საშუალება ის არის, რომ

მეშვიდე საუკუნის მოგზაური სომეხი ანასტოსი იერუსალიმში უჩვენებს ქართველობას, რომელნიც „აწ სცხოვრობენ წმ. იოანეს მონასტერში".

მე VII—VIII ს. სინაზედ იყვნენ ქართველი ბერები მიქელ და ესტატე.

მე VII—VIII ს. ეკუთვნიან ხელნაწერნი: პალესტინის საღლესასწაულო თთვენი, სინას დავითნი და რაოდენიმე სხვანი, დაწერილნი პალესტინასა და სინაზედ.

V—VI საუკ. ეკუთვნიან ქართველნი მთარგმნელნი (პალესტინას და ანტიოქიაში) ანტონი, საბა, დავით და სტეფანე. *)

აქვე საბას ლავრის მღვიმის ეკლესიაში მოღვაწეობენ ქართველი ბერები. აქ დაწერილია უძველესი თარიღიანი წიგნი 864 წლისა. ცაგარლის სიტყვით, „საბა წმ. ლავრა იყო აკვანი ქართულის მწიგნობრობისა და მოღვაწეობისა წმ. ქვეყანაში" (იქვე). ეს საბა იყო კაბადუკიელი. იგი 55 წლისა იყო, რომ მისს ლავრას მივიდა სომეხი იერემია ორის მოწაფით პეტრეთი და პავლეთი. და საბამ „მისცა მათ მცირე ევკტერი და მიერიდგან დაეწესა ლავრასა მას შინა განმრავლებაჲ სომეხთა ნათესავისა" (საეკლ. მუზ. წიგნი № 179, გვ. 345.) „ჟამსა მას, რომელსა შინა ჰასაკი საბასი მე: 55 წელიწადად აღიწეოდა, ანასტასი მეფობისა საყდარსა დაჯდომედა (491—518), ზენონ (+491) ცხოვრებისა ამისგან მეფობისა თანა დაკლებულ იქმნებოდა, ამასვე წელსა მოვიდა ლავრად კაცი ვინმე სალმთოჲ, სახელით იერემია, ნათესავით სომეხი..." საბას ლავრის გოხრება არაბთაგან შეტანილია „სვანურს მანუსკრიპტში" მე IX—X საუკ. (№ 95).

მეცხრე საუკ. წმ. ქვეყანა მოიმგზავრა წმ. ილარიონ ქართველმა. იგი კახეთიდგან იყო. მდიდარი და წარჩინებული დედ-მამა ჰყვანდა. ჯერ ექვსი წლისა იყო იგი, რომ მშობლებმა მიაბარეს ერთ ნასწავლ მღვდელს. მისგან მალე „დაისწავლა ყოველივე ძუჱლი და ახალი წერილი." 16 წლისა ბერად შედგა გარესჯაში და 11 კაცი მოიმოწაფა. შემდეგ ერთი მოწაფე გაიყოლია და წავიდა წმ. ქვეყანას, ნახა თაბორი, იერუსალიმი, ბეთლემი და წმ. საბას ლავრა. აქ დაშთა 7 წელიწადს სწავლულებაში. სამშობლოში რომ დაბრუნდა, დააფუძნა დედათა მონასტერი, საცა 70-მდე მოღვაწე შეიყარა. მონასტრებს დიდი მამულები უბოძა და „საღმთო წიგნებით" უზრუნველჰყო. შემდეგ ორი მოწაფით წავიდა კოსტანტინეპოლს, იქიდგან ულუმბოს, „საცა იმ დროს ბევრი ქართველები იყვნენ". ილარიონთან მივიდა კიდევ სამი ქართველი. წლის თავზე იგი წავიდა კოსტანტინეპოლს წმ. სოფიის ტაძრის თაყვანის საცემლად და იქიდგან გაემგზავრა რომს მოციქულთა ნაწილების მოსალოცავად. აქ დარჩა ორს წელიწადს. გარდაიცვალა „თესალონიკეს 53 წლისა ნოემბერსა 19, შაფათს, მეფობასა ბასილი მაკედონიანისა (867—886). მისი წმიდა ნაწილები იმპერატორმა და პატრიარქმა ქართველების დასწრებით დაკრძალეს ქართველთა მონასტერში **) (რომანას). ეს „ძუელი და ახალი წერილი" რომელ ენაზე იყო, რომ მე IX საუკუნის დასაწყისში სწავლობდა მას დიდგვარიანი, დიდებული და წარჩინებული კახელის შვილი ილარიონ? ვისთვის არსდებოდა აქ დედათა და მამათა მონასტრები? რომელ ენაზე გაწყობილიყო ის „საღმთო წიგნები", რომლითაც ილარიონმა „უზრუნველჰყო" თვისი მონასტრები?...

ანტონი I ასრე ამკობს ილარიონს:

ილარიონ არს თარგმანთა შორის პირუელ,
რაიცალა ვსცნათ მომთხრობელთაგან ჩვენთა;
სახელნი ღირსთა მამათა თარგმანთანი,
ვინცა განსცხადნეს უწყებითა აქამდე,
პირუელ ამისა არავინ სადა ისმა.

აქ ალბად ანტონი ილარიონს სთვლის პირველ თარგმანად (ТОЛКОВНИКЪ) და არა მთარგმნელად. რა საფიქრებელია, რომ მთელს სამეფოს 324 წლითგან ჰყოლოდეს თვისი სამღვდელოება, ჰქონდეს თვისი ეკკლესია და 512 წლიდგან საკუთარი კათალიკოზი, ხოლო წიგნები-კი არა ებადოს? უამწიგნებოდ ეს ეკკლესია როგორ დაიცავდა თავს გარემოსეულ მწვალებლობისაგან და ბარბაროსებისაგან! და ან „ყველა ქრისტიანებზე უწმიდესად როგორ შეინახავდა სარწმუნოებას", როგორც გვარწმუნებს პროკოპი! *)

თვით საქრისტიანო დოღმატთა მიხედვითაც შეუძლებელი იყო, რომ მერვე-მეცხრე საუკუნემდის ქართველებს არა ჰქონოდათ თვისი თარგმანები. სხვა რომ არა ვსთქვათ, რაღაი ქრისტიანობა იქნებოდა (და ისიც „ყველაზე წმიდად დაცული"!), თუ მოძღვარისა მრევლს და მრევლისა მოძღვარს ვერა გაეგებოდა-რა! რაღაი სამღვდელოება იყო, რომ მსოფლიო კრებათა სავალდებულო განკარგულებანი მოკლედაც იყო არ ეთარგმნა და არ აეხსნა მრევლთათვის! ყოველივე ეს მეტად დაუჯერებელია, დაუჯერებელი უფრო იმიტომ, რომ საქართველო თვისის ნიჭიერი ერით მოსახლეობდა ორს განათლებულს სახელმწიფოს შორის—სპარსეთისა და საბერძნეთისა—და მუდმისად მონაწილეობას იღებდა მსოფლიო საქმეებში. ბიზანტია, რომი, იერუსალიმი, კესარია, ანტიოქია, კტეზიფონი არა ერთხელ და ერთ ქართველს მოვლილი ჰქონდა და როგორ ვერავინ იფიქრა სამშობლო ენაზედაც გაეწყო თვისი საკუთარი წირვა-ლოცვა!

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. ცაგარლის იგივე შრომა და მარრის „Изъ книги царевича Баграта". გვ. 242

**) წმ. ილარიონის ცხოვრება შეტანილია ბერძნულს სვინაქსარში, რომელიც თარგმნილია ქართულად ეფთვიმეს მიერ და გიორგი მთაწმიდელისა. ბერძნულად მისი ცხოვრება. დაწერილია ფილოსოფოსის ბასილის მიერ (ა. ცაგარელი. Палес. сбор. вып. 10, გვ. 32—43). წმ. ილარიონის ცხოვრება ჩვენცა გვაქვს გადმოწერილი ტყავზედ ნაწერ სვინაქსარიდამ (საეკლ. მუზ. № 222).

*) „Иверы—христiане, и лучше всѣхъ известныхъ намъ народовъ хранятъ уставы христiанскаго исповѣданiя" (პროკოპი სცხოვრობდა მე IV საუკ. ნახევარს. იხ. მისი „Исторiя войнъ", გვ. 56).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიპრი კრიტს შეუერთდეს და ორივე კუნძულმა ერთი სამთავრო შეადგინოს, გიორგი ხატონიშვილის გამგეობით. როგორც ამბობენ, დედოფალს ვიქტორიას მოეწონება ეს პროექტი.

—

იაპონია. წინათ იაპონია უცხო ქვეყნის საქონელს, რომელიც მას სჭირდებოდა, მხოლოდ ევროპიდგან ღებულობდა. ეხლა-კი შეერთებულ შტატების საქონელს დაუჭერია იაპონიის ბაზარი. უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში ამერიკიდგან შემოტანილი საქონელი 4 მილიონ დოლარიდგან 15 მილიონამდე ასულა.

◆

დამაკვირდი

—

ისწრაფე, ჰე კაცო, ვიდრე ჟამი გაქვს-და, ნუ ხოლო სჭამო და სვა, არამედ რათა ცხორებაჲ შენი კეთილსა ზედა იხმარო.

საეკლ. მუზ. № 153

* * *

ყველა კაცი ჭკვიანია, ხოლო ზოგის ჭკუა გალესილია, ზოგის ილესება და ზოგისა კი მიმდემად ბლუნგია და ბლაგვი.

ლასურიძე

* * *

ნუ გაშორდები ბრძენთა და მეცნიერთა კაცთაგან და ნუ ხარ მოყვარე ავთა და უმეცართა; კაცი ნავსა ჰგავს: ვით ნავი, ვარდის სუნსაც ითვისებს, სკორეს სუნსაც იღებს.

ფილოსოფ. პლატონ

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, ამერიკაში რკინის გზის მატარებლები ძალიან ჩქარა დაიარებიან. ორთა შუა რიცხვით მატარებელი საათში იქ 60—70 ვერსტს გადის. მაგრამ საგანგებო მატარებლები ხან და ხან ამასაც გადააცილებენ ხოლმე. ამას წინად ერთს საფოსტო მატარებელს გზაში შეჰგვიანებოდა. მაშინისტს, რათა დაკარგული დრო მოეგო, გაუჩქარებია მატარებელი და საათში 111 ვერსტი გაუვლია, ესე იგი იმდენი, რამდენსაც ჩვენში ძალიან გაჩქარებული მატარებელი 3 საათშიაც ძლივს გაივლის.

* * *

სად და რა ადგილებში არ გაჰყავთ ეხლა რკინის გზა? აწინდელ ტეხნიკას წინ ვეღარაფერი უდგება. ვეღარც კლდე-ღრე, ვეღარც აღმართი, ვეღარც დაღმართი და ვეღარც სხვა რამ, შვეიცარიასა და შვეციანორვეგიაში ისეთ კლდესა და მთებშია გაყვანილი რკინის გზები, რომ კაცს განცვიფრებაში მოიყვანს. მაგრამ ეხლა, როგორც ეტყობა, ამასაც არა სჯერდებიან: აზრადა აქვთ რკინის გზა ევროპის უმაღლეს მთის მონ-ბლანის მწვერვალამდე გაიყვანონ. მონ-ბლანზედ არსებულ მეტეოროლოგიურ ობსერვატორიის დირექტორს Vallot-ს უკვე შეუდგენია ამ რკინის გზის პროექტი. პროექტით ამ გზისათვის მმოძრავ ძალად იხმარებენ მდინარე არვას. ორთქლ მავალები ელექტრონისა იქმნება.

* * *

„მოდა“ სწორედ გასაკვირველი და უცნაური რამ არის; მარტო ტანისამოსისა არ გეგონოთ, საზოგადოდ ყველაფრის მოდა. აი, მაგალითად, ერთის მოხერხებულის ფრანგის ფოტოგრაფის წყალობით „მუმიის“ მაგვარის სურათების გადაღების მოდა გავრცელებულა პარიჟში. ასეთის სურათის მსურველი იმოსება ისეთსავე სამოსელში, როგორშიაც ნამდვილი, ეგვიპტეს მუმიებია შემოსილი, და წვება ამისათვის ეგვიპტეს ქალაქ ქაირიდგან საგანგებოდ გამოწერილ სარკოფაგში ანუ კუბოში, შემდეგ ფოტოგრაფი გადაიღებს სურათს. დღეს პარიჟში, ამბობს ერთი გაზეთი, არც ერთი შეძლებული ოჯახი არ არის, რომლის დიასახლისიც ამ გვარად არ იყვეს გადაღებული.

* * *

მიუნხენში ამას წინად გარდაიცვალა ერთი მექუდე, რომელიც საოცრადა ჰგავდა თურმე ბავარიის პრინც-რეგენტს. ამ მსგავსებას უფრო აორკეცებდა ის, რომ მექუდე პრინცივით იცვამდა და იმასავით დადიოდა. ერთხელ მექუდესთან პრინცის ადიუტანტი მივიდა და სთხოვა: „შლიაპა გამოიცვალეთ, რადგანაც ხალხი შეცდომაში შედის და ხშირად პრინცი ჰგონიხართო“.— მოითმინეთ, მიუგო მექუდემ, პრინცისათვის უფრო ადვილი არ არის ახალის შლიაპის შეძენა, ვიდრე ჩემთვის? „მაშ სხვა ნაირად მაინც გაიკრიჭეთ ხოლმე წვერი“.—როგორღა სხვა ნაირად? ორმოცი წელიწადია ასე ვიკრეჭავ და ეხლა ხომ არ შევცვლი? „მაშ ისე მაინც ნუ იღიმებით, როდესაც ნაცნობებს თავს უკრავთ, როგორც პრინცი იღიმება ხოლმე“.—ასე ვიღიმები სულ და სხვა ნაირად მე არ ვიცი როგორ უნდა გავიღიმო. უკეთესი არ იქმნება, ბ-ნო ადიუტანტო ყველა ეგ პრინცს ურჩიოდ, რომ თვით ის მოიქცეს სხვა ნაირად და მე ნუ მომბაძავს? გაბრაზებული ადიუტანტი გარედ გამოვარდნილა და შინ წასულა.

* * *

ამერიკის ქალაქ ვესტმინსტერში შემოუღიათ მოძრავი საფოსტო კანტორები. ასეთი საფოსტო კანტორა წარმოადგენს დიდს დახურულს ეტლს. მოხელენი ამ ეტლში ყველა იმ თანამდებობას ასრულებენ, რასაც იმათი ამხანაგები ჩვეულებრივ კანტორებში, ესე იგი ჰყიდიან მარკებს, იღებენ ყოველგვარს წერილებს, გასაგზავნ ფულს, ნივთს და სხვას; არიგებენ გაზეთებს და სხვა მიღებულ ნივთებს. ასეთი კანტორა ქუჩა-ქუჩა დილის 7 საათიდგან დაწყებული საღამოს 5 საათამდე დაიარება.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ივლისი.

ლონდონი. პარლამენტი დაიხურა დღეს სეფე სიტყვით, რომელშიაც ნათქვამია, რომ სახელმწიფოებს შორის ისევ კეთილი განწყობილება ჰსუფევსო.

პარიჟი. როგორც ამბობენ, დრეიფუსის საქმის განხილვა აგვისტოს დასასრულს დამთავრდება. „Echo de Paris“ ი ამბობს, გენერალი ბუადეფრი დაასახელებს ერთს უცხო-ქვეყნელ სამხედრო კაცს, რომელმაც გააფრთხილა საფრანგეთის მთავრობა, დრეიფუსი ღალატობთო.

რენნი. დრეიფუსი და სამხედრო სასამართლოს წევრები შეიკრიბნენ ლიცეიში 6 საათზედ. კრებამ, ხალხის დაუსწრებლად, გასტანა 11 საათსა და 30 წუთამდე. შამუენმა განაგრძო სამხედრო სამინისტროს dossier-ის შინაარსის გადაცემა. იმის შემდეგ პალეოლოგი წარადგენს სადიპლომატო საიდუმლო dossier-ს. შეიძლება, რომ საჯარო კრებები შაბათიდგან განახლდეს.

29 ივლისი

პეტერბურგი. 28 ივლისს წავიდა საზღვარ-გარეთ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასსე. მინისტრის გასაცილებლად შეიკრიბნენ გარეშე საქმეთა მინისტრი, მისი ამხანაგი გრაფი ლამსდორფი და საფრანგეთის საელჩო გრაფ მონტებელლოს მეთაურობით.

კრასნოე სელო. 28 ივლისს, საღამოს მეექვსე საათზედ, ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და გელმწიფე მემკვიდრე საიმპერატორო გვარეულობის წევრებითა და საბერძნეთის მემკვიდრე ნიკოლოოზითურთ მობრძანდნენ და კრასნოე სელოში დაბანაკებული ჯარი დაათვალიერეს და კრასნოე სელოს სასახლეში მიბრძანდნენ.

რენნი. დაბეჯითებით ამბობენ, რომ დრეიფუსის ორივე ვექილი აწინდელს მდგომარეობას მეტად საკეთილოდა სთვლიან თავიანთის მარწმუნებლისათვის და იმ აზრისანი არიან, რომ საიდუმლო dossier ის განხილვა ხელს უწყობს ამ საკეთილო მდგომარეობასაო. დრეიფუსი დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს საიდუმლო საბუთის ქაღალდების განბჭობას და განაცხადა კიდეც სურვილი, რომ მე დავეხმარებით ძნელის სიტყვების თარგმნაში ნემეცურის ენიდგანაო, ეს ენა-კი მან ძალიან კარგად იცის.

◆

განცხადებანი

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 20-ს აგვისტოს მოხდება საჯარო ვაჭრობა იჯარისა, რომლითაც მოიჯარადრემ ქალაქს უნდა მისცეს 12,000 ფუთი ნავთი ქუჩების გასანათებლად. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, შეუძლიან გაიცნოს პირობები გამგეობის კანცელარიაში ყოველ საქმის დღეს, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე.

(3—ნ.—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებელობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის, შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისთანავე და ათი იანვარში,

9) თხოვნების შემოტან შეიძლება აგვისტოს 25-მდის ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) აგვისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეკზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{99}/_{900}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა ზირკელ ამხანაგობისა ისყიდება ქუ-

თაისში — წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში** — ილია მოლოკყლიძის მაღაზიაში; **ბათუმში** — მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში** — ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში** — თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—14) ნ. წერეთელი



როიალები



პიანინო

ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА.
Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—ნ.—17)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური
ბორნო-ცimolის საპონი
გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელსა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისას, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში საფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—15)

Дозволено цензурою, Тифлисъ 29 го Іюля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.